საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-103/ნ

2021 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 26/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 470230000.22.035.016595) დამტკიცებული №4 დანართის („სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული მოდულების/რეგისტრების წარმოების წესები“) მე-7 მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით განსაზღვრული „მწვანე“ სტატუსით სარგებლობის უფლების მიღების მიზნით, ამავე დადგენილების „3^3“ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, კოვიდგატანილი იმ პირებისათვის, რომელთა ტესტირების შედეგები სხვადასხვა მიზეზით არ არის ასახული ცენტრის COVID-19-ზე ტესტირების აღრიცხვის ელექტრონულ მოდულში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განისაზღვროს ამავე დანართის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისგან, განსხვავებული პირობები.‘‘.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**